

ლელო

საპარტიო სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული
ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტისა და პროლეტარიატის
საპარტიო რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по делам физической культуры
и спорта при Совете Министров Грузинской ССР и
Грузинского республиканского Совета профсоюзов
გამოცემის მმ-ა წელი

№ 10 (505) კვირა, 8 თებერვალი, 1952 წ. ფასი 30 კაპ.

შესანიშნავი შედეგები

ჩვენი სახელოვანი საბჭოთა ქვეყანა მძლავრ აღმავლობას განიცდის. ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, ამხანაგ სტალინის ბრძნული წინამძღოლობით საბჭოთა კავშირის მშრომელები ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ ჩვენი საყვარელი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის, კომუნისტების აშენებასათვის ბრძოლაში.

ამ დიდ წარმატებებზე ნათლად მეტყველებს ამ დღეებში გახვებში გამოქვეყნებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1951 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ.

გასულ წელს დიდი ძვრანი მოხდა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

საერთო პროდუქციის წარმოების 1951 წლის წლიური გეგმა შესრულებულია მთლიანად მრეწველობაში 103,5 პროცენტით. სსრ კავშირის მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია 1951 წელს 1950 წელთან შედარებით 16 პროცენტით გაიზარდა.

საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომის შედეგად ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობამ გეგმის გადაჭრებით ბოლო ბევრი ლითონი, ქვანახშირი, კოქსი, ნავთი, ელექტროენერჯია, ტრექტორი, ორთქლმავალი და ბევრი სხვა საბჭოების საბრუნველო პროდუქცია. გადაჭრებით იქნა შესრულებული გასულ წელს მთავრობის დადგენილი სამრეწველო და სასურსათო საქმის დამატებით გამოშვების დარგში.

ახალი წარმატებები მოპოვებული ახალი ტიპის მანქანების, მექანიზმებისა და მასალების ათვისებაში დიდი მუშაობა იქნა გაწეული სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მექანიზაციის დონის შემდგომი ამაღლებისათვის. გაუმჯობესდა საბრუნველო პროდუქციის ხარისხი, გაფართოვდა მისი ასორტიმენტი. გადაჭრებით განხორციელდა აგრეთვე სახელმწიფო პროდუქციის თვითღირებულების შეცირების სახელმწიფო დავალება.

საერთო ჯამში წარმატებები იქნა მოპოვებული გასულ წელს მიწათმოქმედებისა და საზოგადოებრივი მცენარეულობის განვითარების, კოლმეურნობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განვითარების დარგში. მარცვლეულს კულტურების საერთო მოსავალი 1951 წელს 7 მილიარდ 400 მილიონ აფთა შეადგინა. გასულ წელს უფრო განმტკიცდა სოფლის მეურნეობის ტექნიკური ბაზა. სოფლის მეურნეობის მექანიზაციასთან ერთად შესრულდა დიდი სამუშაოები მისი ელექტროფიკაციისათვის. წარმატებით ხორციელდება ბუნებრივი რაფინის დიდი სტალინური გეგმა. ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს დიდი კაპიტალური მშენებლობა. სა-

ხელმწიფო კაპიტალური დაბანდობა მოცულაბამ 1950 წელთან შედარებით 112 პროცენტით შეადგინა. წარმატებით შესრულდა ვოლგაზე, დონსა და დნებრზე დიდ პირობებში უფრო ნაგებობათა მშენებლობას, აგრეთვე თურქმენეთის მთავრობის მშენებლობის 1951 წლისათვის დაწესებული საგეგმო დავალება.

შემდგომი წარმატებები იქნა მოპოვებული 1951 წელს სოციალისტური კულტურის ყველა დარგში. მოსწავლეთა რიცხვი სსრ კავშირში, ყველა სახის სწავლების ჩათვლით, გასულ წელს 57 მილიონს შეადგენდა. გაფართოებულია საავადმყოფოების, სამშობაო სახლებისა და სხვა სამკურნალო დაწესებულებების, აგრეთვე სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების ქსელი. დიდი სამუშაოები შესრულებულია კომუნალური საწარმოების მშენებლობისა და ქალაქებისა და მუშათა დაბების კეთილმოწყობისათვის.

სახალხო მეურნეობის მძლავრი აღმავლობის საფუძველზე განხორციელდა უმჯობესდება ჩვენი ქვეყნის მშრომელთა კეთილდღეობა. ამის ყველაზე მაგალი და ყოვლისმომცველი მაჩვენებელია განხორციელებული ზრდა ნაციონალური შემოსავლისა, რომელიც 1951 წელს 1950 წელთან შედარებით, მარტის ფასებში, 12 პროცენტით გაიზარდა. მასობრივი მოხარების საქონლის ფასების შემცირების, მუშა-მოსამსახურეთა ფულადი ხელფასის ზრდის, გლეხთა ფულადი და ნატურალური შემოსავლის გაზრდისა და მოსახლეობისათვის სახელმწიფოს ხარჯზე დახმარებისა და შედგენილი ზრდის შედეგად მუშა-მოსამსახურეთა შემოსავალი და გლეხთა შემოსავალი 1951 წელს, შესაძარ ფასებში, 1950 წელთან შედარებით 10 პროცენტით გაიზარდა.

საბჭოთა ფიზკულტურელთა მრავალმილიონანი არმია ამაყობს იმით, რომ მას თავისი წვლილი აქვს შეტანილი იმ დიდ მუშაობაში, რაც გასწევის საბჭოთა ადამიანებმა გასულ წელს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის წარმატებით განხორციელებისათვის. ქალაქად თუ სოფლად ჩვენი ფიზკულტურელები თავი საბჭოთა ხალხთან მხარდამხარ დაედადებულად იბრძოდნენ საწარმოო დავალებათა მთლიანად და გადაჭრებით შესრულებისათვის, არ ზოგადდნენ ძალასა და ენერჯიას ჩვენი ქვეყნის შემდგომი აყვავება-გაფორმებისათვის.

სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის შესანიშნავი წარმატებანი რომლებშიც მოპოვებულია ლენინ-სტალინის დიდი პარტიის ხელმძღვანელობით, აღდრთოვნებენ საბჭოთა ადამიანებს ჩვენი საყვარელი სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტების აშენებისათვის საბრძოლველად.

ქ. მაგნიტოგორსკი
მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატი
კომბინატის ლიკაზმორს ამხანაგ ბორისოვის
კომბინატის მთავარ ინჟინერს ამხანაგ ვოლოკოვიჩის
საკავშირო ქ. ვ. (ბ) სანვრალური კომიზაციის პარგორგს ამხანაგ სეჩელოვის
საქარხნო კომიზაციის მთავარდამამხანაგ პლისკანოსს
საკავშირო ალკ სანვრალური კომიზაციის კომორგს ამხანაგ პანკოვის

მევესალმები და ვულოცავ მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატისა და ტრესტ „მაგნიტოსტროის“ მუშებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებსა და მოსამსახურეებს კომბინატის — ჩვენი ქვეყნის მძლავრი მეტალურგიული ბაზის ამუშავების შედეგ წლისათვის. მაგნიტოგორსკელები, როგორც ჩვენი სამშობლოს ერთგული შვილები, ყველა წელს პატიოსნად და თავდადებით შრომობდნენ კომბინატის საწარმოო სიმძლავრეთა შექმნა-

ზე, წარმატებით ეუფლებოდნენ ახალ ტექნიკას, განუწყვეტლივ აღიდგენდნენ ლითონის წარმოებას და ღირსეულად ასრულებდნენ ლითონით ჩვენი ქვეყნის უზრუნველყოფისათვის პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ამოცანებს. მთელი სულითა და გულით გისურვებთ, ამხანაგებო, ახალ წარმატებებს თქვენს მუშაობაში.

ი. სვანიძე

სსრ კავშირი — შინეთი — 8:0

მოსკოვი. 2 თებერვალი
(ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან). გუშინ, 1 თებერვალს, მოსკოვის სახელმწიფო ცირკში, რომელიც საზოგადოებრივი მორთული, გაიმართა სსრ კავშირისა და ფინეთის მოჭიდავეთა ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა თავისუფალ ჭიდაობაში.

შეჯიბრების დაწყებამდე დიდი ხნით ადრე თავი მოიყარა მრავალრიცხოვანმა მაყურებელმა.

მარშის ხმაზე არენაზე გამოდიან შეჯიბრების მსაჯთა კოლეგიის წევრები მთავარი მსაჯის, საკავშირო კატეგორიის მსაჯის ი. ყანჩელის მეთაურობით, მათ მოჰყვებიან სსრ კავშირის და ფინეთის მოჭიდავეთა ნაკრები გუნდები.

სსრ კავშირის მოჭიდავეთა ნაკრები გუნდი გამოვიდა ბაბაევის, მამედბეკოვის, ი. დადაშევის, იალტირიანის, ქარქუსელის, ციმაკურიის, ენგელანის და მეკოვიშვილის შემადგენლობით. ფინეთის ნაკრებ გუნდში შედიოდნენ — ვიიტალა, ტურკილა, რუეა, ლევიანენი, კეისალა, ლახტი, გრიონდალი და ვირტა.

ფინელი მოჭიდავეები მისასალმებელი სიტყვით მიმართა ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ან. ანდრიანოვმა.

მოჭიდავეთა ნაკრები გუნდების შეხვედრა

საპასუხო სიტყვით გამოვიდა ფინეთის სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელი ბ.ნი იაოსი.

გუნდების ურთიერთმილოცვის შემდეგ დაიწყო შეჯიბრება.

პირველად ხალიჩაზე გამოვიდნენ უმჩატესი წონის მოჭიდავეები ვიიტალა (ფინეთი) და ბაბაევი (სსრ კავშირი). მძაფრი ბრძოლის შემდეგ ბაბაევმა 8 წუთსა და 56 წამზე ფინელი მოჭიდავე ბეჭებზე დასცა.

მხატე წონის მოჭიდავე მამედბეკოვა (სსრ კავშირი) ქულებით მოიგო შეხვედრა ფინელ ტურკილასთან.

საბჭოთა მოჭიდავე ი. დადაშევა (ქვემსუბუქი წონა) 11 წუთსა და 56 წამზე გამარჯვებას მიაღწია რუეასთან (ფინეთი).

მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა ქვემსუბუქი წონის მოჭიდავე იალტირიანის (სსრ კავშირი) გამოსვლამ. რამდენიმე ფანდის ბრწყინვალედ განხორციელების შემდეგ მან მოხდენილი შუაკაურით 57 წამზე ბეჭებზე დასცა ფინელი ლევიანენი.

საბჭოთა მოჭიდავე ქარქუსელმა კეისალასთან (ფინეთი) შეჯიბრებაში თავიდანვე მძაფრი შეტევა განა-

ვითარა. მან სარმით წააქცია მოწინააღმდეგე, მაგრამ ვერ შეძლო მისი დაკავება. გამარჯვება ქულებით მიენიჭა ქარქუსელს.

ყველაზე საინტერესო გამოვიდა საშუალო წონის მოჭიდავეების — საბჭოთა გუნდის კაბიტინის ციმაკურიის და ლახტის (ფინეთი) შეხვედრა. თავიდანვე იერიშზე გადასულმა ციმაკურიამ დასცა მოწინააღმდეგე, მაგრამ უკანასკნელმა მოასწრო „ხიდის“ გაკეთება. ლახტი დიდ შეუპოვრობას იჩენდა დაცვაში. მიუხედავად ამისა 12 წუთსა და 5 წამზე ციმაკურიამ სუფთა გამარჯვებას მიაღწია.

ენგლასმა (სსრ კავშირი) ქულებით მოიგო შეხვედრა ქვემძიმე წონის მოჭიდავე გრიონდალთან (ფინეთი).

მეკოვიშვილმა (სსრ კავშირი) 58 წამზე ბეჭებზე დასცა თავისი მოწინააღმდეგე ვირტა.

ამრიგად, სსრ კავშირის დამფინეთის მოჭიდავეთა ნაკრები გუნდების შეხვედრა დამთავრდა საბჭოთა სპორტსმენების ბრწყინვალე გამარჯვებით — 8:0. აღსანიშნავია, რომ ეს იყო საბჭოთა სპორტსმენების პირველი საერთაშორისო შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში.


სსრ კავშირისა და ფინეთის მოჭიდავეების ამხანაგურმა შეხვედრამ მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

მოსკოვის პირველობა ურენბურტში

დაიწყო მოსკოვის პირველობის გამარჯვება ფრენბურტში. შეჯიბრების პირველ დღეს ერთმანეთს შეხვდნენ „ლოკომოტივის“ და სამხედრო-საპაერო ძალთა გუნდები. საკლებო ჩათვლაში გამარჯვება მოიპოვეს რკინიგზელებმა. ვაეთა პირველი გუნდების

შეხვედრა დამთავრდა მტრინათა გამარჯვებით (3:1). ვეს-ის შემადგენლობაში თამაშობენ სავინი, ნეფედოვი, ახვლედიანი, ბურცევი, გაილიტი, გრანატუროვი, შჩერბაკოვი.

შეხვედრა შეჯიბრების მეორე დღეს. საერთო ჩათვლაში გამარჯვება „ლოკომოტივის“ გუნდმა. რკინიგზელებმა დაამარცხეს „დინამოს“ ვაეთა პირველი გუნდი (3:2) და ქალთა გუნდი (3:1).



მსოფლიოს რეკორდსმენი მ. დუმბაძე, სსრ კავშირის რეკორდსმენი ვ. გოკიელი და ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი სპორტიკონი ლ. სანაძე მწვრთნელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის მ. დარკოვის ხელმძღვანელობით სისტემატურ წვრთნას გადიან ლია ცის ქვეშ. სურათში: მარცხნიდან მარჯვნივ) ვ. გოკიელი, ლ. სანაძე და მ. დუმბაძე „დინამოს“ ხტადიონზე ვარჯიშის დროს.

ბ რ ძ ე ნ ე ბ უ რ ე ბ ა
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს გოვრების უმასამბ
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ადგენს:
მიწვეულ წმენას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია 1952 წლის 5
მარტს ქალაქ მოსკოვში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ბ. შპირნიკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ა. გორკინი**
მოსკოვი, კრემლი. 1952 წლის 31 იანვარი.

